გაკვეთილის თემა	მთვარის დაბნელება
სწავლების საფეხური და კლასი	დაწყებითი საფეხური.მე-6 კლასი
საგანი	ჩვენი გარემო
მოსწავლეთა რაოდენობა	18
გაკვეთილის მნიშვნელობა,აქტუალობა	რა იწვევს მთვარის დაბნელებას.მთვარის,მზის და დედამიწის განლაგება მთვარის დაბნელების დროს.
მიზნები,შედეგები(ესგ სტანდარტი)	მოსწავლეები შეძლებენ იმ მიზეზების გარკვევას,თუ რა იწვევს მთვარის დაბნელებას,რა გავლენა შეიძლება ქონდეს ზღვის მოქცევასთან,თუ რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს ადამიანებსა თუ ცხოველებზე. **საზ. მეც.V-VI. 2. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს და შექმნას ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა საშუალება (ცხრილი, გრაფიკი, ფოტო, სქემა, ჩანახატი).** · ახდენს სხვადასხვა საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის კლასიფიცირებას; · ისტორიულ ან გეოგრაფიულ ინფორმაციას წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებით. **საზ. მეც.V-VI.5. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ისტორიული ფაქტები შესაბამის ეპოქებთან.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ასახელებს მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს; · ასახელებს საუკუნესა და ათასწლეულს, რომელსაც კონკრეტული თარიღი მიეკუთვნება; განასხვავებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას პრინციპით - **ადრე** და **გვიან**; მაგ.:
წინარე ცოდნა	მოსწავლემ იცის, რომ მთვარე დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრია,მზის სისტემაშია.
შეფასების საგანი და პროცედურები	ზეპირი პრეზენტაცია, მსჯელობა, თვალსაჩინოების შექმნა
სასწავლო მასალა და რესურსები	წიგნი,რვეული,კალამი,ცარცი,დაფა,პლანეტების სქემა.
გაკვეთილის მსვლელობა	**A ფაზა**: კითხვა-პასუხი-რა იციან მთვარის დაბნელების შესახებ. **10 წთ** **B ფაზა**: მინი ლექცია -მთვარის დაბნელების შესახებ.კითხვების დასმით მოსწავლეთა აღთქმის უნარის შემოწმება.თვალსაჩინოების

	გამოყენება. **15 წთ** **C ფაზა**: მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ: ადგენენ მთვარის დაბნელებისას მთვარის, დედამიწის და მზის სავარაუდო განლაგებას.მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან ტექსტს სახელმძღვანელოში და ადარებენ თავის ნამუშევარს რეალურ განლაგებასთან, აკეთებენ ანალიზს. მოსწავლე საკუთარი აღთქმის უნარს აკონტროლებს, მიზანდასახულად აკავშირებს ახალსა და უკვე ცნობილ ინფორმაციას. მოსწავლეთა შეფასება და საშინაო დავალების მიცემა. **25 წთ**
დიფერენცირებული სწავლება	მოსწავლემ წიგნიდან გადახაზოს მზე,მთვარე და დედამიწა.
თვითშეფასება	მოსწავლეებს შეუძლია იმ მიზეზების გარკვევა,თუ რა იწვევს მთვარის დაბნელებას,რა გავლენა აქვს ზღვის მოქცევასთან,თუ რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანებსა თუ ცხოველებზე.